

პრაქტიკის კვლევის ონლაინ კურსის განვითარება

გიორგი ჯალალონია

ნინო ხუბერაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გიორგი ჯალაღონია

ნინო ხუბერაშვილი

30.06.2022

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის პრინციპებით ჩატარებულ კვლევას, რომლის მიზანიც არის ონლაინ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე. კერძოდ, კვლევის ამოცანაა “პრაქტიკის კვლევის” საგნის ონლაინ კურსის გაუმჯობესება. კვლევის ანგარიშში აღწერილია მკვლევრების მიერ, პრაქტიკის კვლევის პრინციპების დაცვით, პრობლემების იდენტიფიცირების, ინტერვენციების განხორციელებისა და მათი შეფასების პროცესები. ამისათვის ნაშრომში მოცემულია პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის თეორიული და შედარებითი ანალიზი, წარმოდგენილი და კვლევის ყოველ ეტაპზე გათვალისწინებულია თეორიული ჩარჩო. ასევე, ნაშრომში განხილულია მოცემული საკითხით დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ჩატარებული შესაბამისი დიაგნოსტიკური და ინტერვენციების შეფასების კვლევები, მათი ინსტრუმენტები და შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ სწავლა; უმაღლესი განათლება; უკუკავშირი; კურსის დაგეგმვის სტრატეგიები.

Abstract

The following paper introduces the report of an action research carried out with the aim of improving the quality of online learning practices for the master's program in Education Administration at Ilia State University. Precisely, the purpose of the research is to bring new, literature and research-based developments to the online delivery of the "Action Research" course of the program. The paper describes the processes of problem identification, intervention, and evaluation, adhering to the principles of educational action research. To do so, the paper presents both, the theoretical and comparative analysis of relevant literature, as well as the usage of a well-acknowledged theoretical framework. The discussion given in the study also touches upon the characteristics of the diagnostic study for the problem, the study to evaluate the recommended modifications, their instruments and results.

Keywords: Online learning; higher education; feedback; instructional design.

მადლობა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში მკვლევრებს დიდი დახმარება გაუწია არაერთმა დაინტერესებულმა პირმა.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნათია ანდლულაძეს, რომელიც კვლევის განმავლობაში აქტიურად გვეხმარებოდა, გვიწევდა კონსულტაციებს და გვამღევედა უკუკავშირს.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სხვა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, რომლებიც კვლევის არაერთ ეტაპზე დაგვეხმარნენ, შეგვეგროვებინა მნიშვნელოვანი მონაცემები.

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ჩვენი პროგრამის ადმინისტრაციას მხარდაჭერისთვის.